ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ოქმი:ო63. 63223403
თარიღი:06/12/2022

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი N 55

ქ. სამტრედია. 5 დეკემბერი 2022 წელი.

2022 წლის 5 დეკემბერს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ნუგზარ ჯამბურიას, თავმჯდომარეობით ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ნუგზარ ჯამბურია, ვაჟა სტურუა, ნათია პაპავა, მანანა სირბილაძე, მერაბ უღრელიძე, ტარიელ ცომაია, ირაკლი მელაშვილი, გიორგი ლეჟავა, ტარიელ დვალიშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ, ბიუროს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის N20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

2. **სხვადასხვა.**

კენჭისყრის შედეგად (9 ხმით), მიღებულია დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 25 ნოემბრის** N: 62-

622232935 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის N20 დადგენილებაში შესატან ცვლილებებს.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტისათვის, 2022 წელს გასანაწილებელი დამატებული ღირებულების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებლები გაიზარდა 340.0 ათ. ლარით და შეადგენს 14 140.0 ათას ლარს.

ასევე, შემცირდეს კოდი (02 01) გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსების არაფინანსური აქტივების გეგმა - 12.2 ათ. ლარით;

შესაბამისად, ზემოთ აღნიშნული 352.2 ათ. ლარი განაწილდეს:

- **კოდი (02 01) გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსების** გრანტების გეგმა გაიზარდოს - 157.2 ათ. ლარით (სოფელ გამოჩინებულში ზანდოს მიმართულებით გზის რეაბილიტაცია);
- **კოდი (05 05 02) კულტურის, ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის ღონისძიებების დაფინანსების** საქონელი და მომსახურების გეგმა - 195.0 ათ. ლარით.

„სამტრედიის მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 ნოემბრის N2178 განკარგულების საფუძველზე, სამტრედიის მუნიციპალიტეტს მიეცა უფლება „სამტრედიის მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 11 ნოემბრის N1329 განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან დარჩენილი 13.9 ათ. ლარი, „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 დეკემბრის N2630 განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან დარჩენილი 24.9 ათ. ლარი და „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის N2685 განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან დარჩენილი 74.7 ათ. ლარი, სულ ჯამში - 113.5 ათ. ლარიდან 25.3 ათ. ლარი მიმართოს სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდ ჯიხაიშში 32-ე ქუჩის ასფალტო-ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოების ნაწილობრივ დასაფინანსებლად და 88.2 ათ. ლარი მომართოს სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდ ჯიხაიშში ადგილობრივი მნიშვნელობის იანეთი-დიდი ჯიხაიში-ხონის საავტომობილო გზიდან, აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული ოჯახებით კომპაქტურად დასახლებულ საცხოვრებელ კორპუსთან მისასვლელ გზაზე ასფალტო-ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოების ნაწილობრივ დასაფინანსებლად.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“- პუნქტის „ე.ე“-ქვეპუნქტის, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 69-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-5 ნაწილებისა და „სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 დეკემბრის N43 დადგენილების შესაბამისად, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის N ბ 62. 6222336001 02/12/2022 ბრძანებით, დაზუსტდა „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების

შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 1 დეკემბრის N73 დადგენილება, კერძოდ, შემცირდა:

- სამტრედიის მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 11 ნოემბრის №1329 განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან, - კოდი (02 01) გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსების არაფინანსური აქტივების გეგმა - 13.9 ათ. ლარით;

- „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 დეკემბრის №2630 განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან - კოდი (02 01) გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსების არაფინანსური აქტივების გეგმა - 8.6 ათ. ლარი და კოდი (02 02 02) წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის არაფინანსური აქტივების გეგმა - 16.3 ათ. ლარით;

- „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის №2685 განკარგულებით - კოდი (02 01) გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსების არაფინანსური აქტივების გეგმა - 74.7 ათ. ლარით.

შესაბამისად გაიზარდა:

- „სამტრედიის მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 ნოემბრის №2178 განკარგულების მიხედვით - კოდი (02 01) გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსების არაფინანსური აქტივების გეგმა - 113.5 ათ. ლარით. გთხოვთ, აღნიშნული მიიღოთ ცხობად. (იხ. დანართი N2178 განკარგულება).

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი დადგენილების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (9 ხმით), საკითხი შევიდა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის N20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

2. **სხვადასხვა.**

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (9 ხმით), მიღებულია დღის წესრიგი

წარმოდგენილი სახით.

ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, საკრებულოს სხდომა გაიმართება 2022 წლის 5 დეკემბერს 15^{00} საათზე, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის სხდომათა დარბაზში.

ამით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოწურულია.

სხდომის მდივანი: მაია ღოღობერიძე.

ნუგზარ ჯამბურია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი